ოქმი:**ო37.37221243**

თარიღი:**04/05/2022**

ოქმი N 7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2022 წელი,

29 აპრილი

ქ. ოზურგეთი

16.00 -18 .00 საათი

თავმჯდომარეობდა : დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა, მოადგილეები: ტ. არუშიძე, ნ.ჭანიშვილი; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, ქ. ხომერიკი, პ. კიღურაძე, დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე; ფრაქციათა თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე, დ. მჟავანაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, პ. სალუქვაძე,ს. ქარცივაძე, ი. თუთბერიძე, გ. შილაკაძე, თ. ნიკოლაშვილი, ხ. თავდიშვილი, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე, გ. სირაძე, დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, ბ. ქათამაძე, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე, ტ. მგელაძე.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- გ. ღურჯუმელიძე, მოადგილეები: ნ. გოლიაძე და ნ. ბოლქვაძე.

თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 39-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.
საკითხების განხილვის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს, შემდეგ მისი წინადადებით საკრებულოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო უკრაინის ომში გარდაცვლილ ქართველ მეომრებს, რომლის შემდეგ საკრებულოს წევრი ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ თ. ნიკოლაშვილი თვითნებურად მივიდა ტრიბუნასთან და განაცხადა, რომ პრორუსული ორგანიზაცია ალტ-ინფოს ოზურგეთის წარმომადგენლობა ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, მერიის თანამშრომლები იმავდროულად არიან ამ ორგანიზაციის წევრები და სხვა, რასაც მოყვა აურზაური, კამათი და სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ გამოაცხადა 30-წუთიანი შესვენება.

შესვენების შემდეგ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 38 -მა წევრმა. განახლებული სხდომის შემდეგ სხდომას არ ესწრებოდა პ.სალუქვაძე. შესვენების შემდეგ კენჭი ეყარა დღის წესრიგს და დამტკიცდა 38 ხმით.

დღის წესრიგი

9.1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 38 - ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ პროექტზე და მხარს უჭერს მას.

27.2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნინო ჭანიშვილი

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 38 - ხმით

საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით, საბჭოს შემადგენლობაში შეიყვანეს საკრებულოს წევრები ნ. ნადირაშვილი და ბ. მელუა.

10.3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პაატა კიღურაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30- ხმით, 8-წინააღმდეგი.

თანამომხსენებელმა, გიორგი ღურჯუმელიძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა საკითხი. განაცხადა, რომ დადგენილების პროექტი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, განხილული იქნა საკრებულოს კომისიების მიერ. რაიმე სახის შენიშვნა, რეკომენდაცია ან/და მოსაზრება ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის მერიას არ მიუღია.

საკითხის განხილვისას ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“თავმჯდომარემ დ. მჟავანაძემ განაცხადა, რომ მერიის დებულება არის დოკუმენტი, რომელზედაც აიგება მთელი პოლიტიკა და მერი მას გამოიყენებს პოლიტიკურად არასასურველი საჯარო მოსამსახურეების გასათავისუფლებლად. ამ განცხადებას ისევ მოყვა კამათი ფრაქციის წევრების მხრიდან, სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ გააფრთხილა ისინი ოქმში შეტანით და აცნობა, რომ სხდომის ჩაშლის მცდელობისათვის გააძევებდა დარბაზიდან. საკრებულოს წევრმა თ. ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ აქტიურ მხარდამჭერებს მაგალითად ხ. სურგულაძის სამსახურს აძლიერებენ-რატომ? თანამომხსნებელმა გ. ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ შეკითხვა არაა კავშირში განსახილველ საკითხთან.

ფრაქცია „ოზურგეთი საქართველოსათვის“ თავმჯდომარემ ალ. ბურჭულაძემ განაცხადა, რომ ამ დებულებიდან გამომდინარეობს საჯარო მოხელეების შემცირება და მობილობა, საინტერესოა იმ 35 -საჯარო მოხელის ბედი, რომელთა გაშვებაც დაანონსდა, რა მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ ისინი?

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“თავმჯდომარემ დ. მჟავანაძემ მოუწოდა საკრებულოს წვრებს მხარი არ დაეჭირათ ამ დადგენილების პროექტის დამტკიცებისათვის.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ პ. კიღურაძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ პროექტზე, წარმოადგინა კომისიის დასკვნა და აღნიშნა, რომ კომისია მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

11.4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პაატა კიღურაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30-ხმით, 8- წინააღმდეგი.

თანამომხსენებელმა, გიორგი ღურჯუმელიძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა საკითხი. განაცხადა, რომ დადგენილების პროექტი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, განხილული იქნა საკრებულოს კომისიების მიერ. რაიმე სახის შენიშვნა, რეკომენდაცია ან/და მოსაზრება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას არ მიუღია.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ პ. კიღურაძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ პროექტზე, წარმოადგინა კომისიის დასკვნა და აღნიშნა, რომ კომისია მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

12.5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პაატა კიღურაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა-ხმით 30 ხმით, 8 წინააღმდეგი

თანამომხსენებელმა, გიორგი ღურჯუმელიძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა საკითხი. განაცხადა, რომ დადგენილების პროექტი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, განხილული იქნა საკრებულოს კომისიების მიერ. რაიმე სახის შენიშვნა, რეკომენდაცია ან/და მოსაზრება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას არ მიუღია.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ პ. კიღურაძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ პროექტზე, წარმოადგინა კომისიის დასკვნა და აღნიშნა, რომ კომისია მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

13.6.. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პაატა კიღურაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30-ხმით, 8-წინააღმდეგი.

თანამომხსენებელმა, გიორგი ღურჯუმელიძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა საკითხი. განაცხადა, რომ დადგენილების პროექტი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, განხილული იქნა საკრებულოს კომისიების მიერ. რაიმე სახის შენიშვნა, რეკომენდაცია ან/და მოსაზრება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას არ მიუღია.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ პ. კიღურაძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ პროექტზე,წარმოადგინა კომისიის დასკვნა და აღნიშნა, რომ კომისია მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

14.7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პაატა კიღურაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30-ხმით, 8-წინააღმდეგი.

თანამომხსენებელმა, გიორგი ღურჯუმელიძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა საკითხი. განაცხადა, რომ დადგენილების პროექტი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, განხილული იქნა საკრებულოს კომისიების მიერ. რაიმე სახის შენიშვნა, რეკომენდაცია ან/და მოსაზრება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას არ მიუღია.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ პ. კიღურაძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ პროექტზე, წარმოადგინა კომისიის დასკვნა და აღნიშნა, რომ კომისია მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

15.8. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პაატა კიღურაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30-ხმით, 8-წინააღმდეგი.

თანამომხსენებელმა, გიორგი ღურჯუმელიძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა საკითხი. განაცხადა, რომ დადგენილების პროექტი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, განხილული იქნა საკრებულოს კომისიების მიერ. რაიმე სახის შენიშვნა, რეკომენდაცია ან/და მოსაზრება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას არ მიუღია.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ პ. კიღურაძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ პროექტზე, წარმოადგინა კომისიის დასკვნა და აღნიშნა, რომ კომისია მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

16.9. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პაატა კიღურაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30 -ხმით, 8-წინააღმდეგი.

თანამომხსენებელმა, გიორგი ღურჯუმელიძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა საკითხი. განაცხადა, რომ დადგენილების პროექტი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, განხილული იქნა საკრებულოს კომისიების მიერ. რაიმე სახის შენიშვნა, რეკომენდაცია ან/და მოსაზრება ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის მერიას არ მიუღია.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ პ. კიღურაძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ პროექტზე, წარმოადგინა კომისიის დასკვნა და აღნიშნა, რომ კომისია მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

17.10. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პაატა კიღურაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30-ხმით, 8-წინააღმდეგი.

თანამომხსენებელმა, გიორგი ღურჯუმელიძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა საკითხი. განაცხადა, რომ დადგენილების პროექტი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, განხილული იქნა საკრებულოს კომისიების მიერ. რაიმე სახის შენიშვნა, რეკომენდაცია ან/და მოსაზრება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას არ მიუღია.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ პ. კიღურაძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ პროექტზე,წარმოადგინა კომისიის დასკვნა და აღნიშნა, რომ კომისია მხარს მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

18.11. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პაატა კიღურაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30-ხმით, 8-წინააღმდეგი.

თანამომხსენებელმა, გიორგი ღურჯუმელიძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა საკითხი. განაცხადა, რომ დადგენილების პროექტი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, განხილული იქნა საკრებულოს კომისიების მიერ. რაიმე სახის შენიშვნა, რეკომენდაცია ან/და მოსაზრება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას არ მიუღია.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ პ. კიღურაძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ პროექტზე და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

19.12. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პაატა კიღურაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 27-ხმით, 11-წინააღმდეგი.

ამ საკითხის განხილვისას თანამომხსნებელმა გ. ღურჯუმელიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მიმდინარე წლის 19 აპრილს შემოსული სამართლებრივი აქტების პროექტების (მერიის საშტატო ნუსხა, სამსახურების დებულებები) კორექტირებული ვარიანტი, დეტალურად ახსნა, რა ცვლილება იყო გათვალისწინებული პროექტებში, თან განაცხადა, რომ დადგენილების პროექტს ემატება ერთი მუხლი თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის ნაწილში, ამოქმედების ვადად განისაზღვროს 2022 წლის 1 ივნისი. დადგენილების პროექტები იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, განხილული იქნა საკრებულოს კომისიების მიერ. რაიმე სახის შენიშვნა, რეკომენდაცია ან/და მოსაზრება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას არ მიუღია.

ამ საკითხზე გამომსვლელად წინასწარ ჩაწერილმა ნ. მუჯირმა განაცხადა, რომ 8-წელია მუშაობს საჯარო სამსახურში, მუშაობის პერიოდში სამჯერო მოხდა მისი სამსახურიდან დათხოვა, ახლა ელოდება გათავისუფლებას-რატომ? რის საფუძველზე? მიმართა სხდომის თავმჯდომარეს დ. დარჩიას, რომ ვერ იცავს პარტიის აქტივისტებს. თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ ნ. მუჯირს შეახსენა, რომ 2014 წელს მან ვერ შეძლო სათანადო ტესტირების გავლა და შესაბამისად ვერ დაინიშნებოდა საჯარო სამსახურში.

წინასწარ გამომსვლელად ჩაწერილმა კ. ბარამიძემ იკითხა-ვინ წყვეტს სამსახურებში და განყოფილებებში რამდენი თანამშრომელი იქნება, პირადად მერი თუ სამუშაო ჯგუფი? თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ უპასუხა, რომ დოკუმენტის პროექტებს ამუშავებს სამუშაო ჯგუფი და წარუდგენს მერს გადაწყვეტილების მისაღებად. შემდეგ კ. ბარამიძემ განაცხადა, რომ რეორგანიზაციის პროცესი მიმდინარეობს დარღვევებით, სამუშაო ჯგუფის სხდომები ტარდება კანონდარღვევებით, არ არის მოტივირებულად განმარტებული რისთვის და რა მიზეზით უნდა გათავისუფლდეს 35-თანამშრომელი, რომ რეორგანიზაცია არ გულისხმობს მხოლოდ თანამშრომელთა გათავისუფლებას, რომ ამ პროცესს თან ახლავს პოლიტიკური და სოციალური მომენტები და სხვა. საკრებულოს წევრებს მიმართა კენჭისყრისას გაეთვალისწინებინათ ყოველივე.

საკრებულოს წევრმა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოდან“ -ნ. ღაჟონიამ განაცხადა, რომ მთელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა და ქვეყანა უყურებს სხდომის მიმდინარეობას, კოლეგებს მოუწოდა კორექტულობისაკენ, რეორგანიზაცია ხდებოდა და მოხდება, რადგან მის გარეშე განვითარებაც არ იქნება.

წინასწარ გამომსვლელად ჩაწერილმა ი. ინარიძემ განაცხადა, რომ რეფორმისა და რეორგანიზაციის წინაღმდეგი არაა, მაგრამ ის უნდა ემსახურებოდეს მუნიციპალიტეტის განვითარებას, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს

მოსამსახურის გამოცდილებასა და პროფესიონალიზმს, ისმის კითხვა-ისინი ვინც რჩებიან სამსახურებში უფრო კომპეტენტურები არიან ვიდრე 35-ადამიანი, რომელთა გაშვებასაც აპირებენ? თამამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ მერი და მისი მოადგილეები არიან მენეჯერები და აქვთ უფლება კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელონ რეორგანიზაცია.

საკრებულოს წევრმა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრტიული საქართველოდან“ მ. ვაშალომიძემ განაცხადა, რომ ისიც გამოცდაჩაბარებული იყო და გაათავისუფლეს სკოლის დირექტორობიდან. ასევე, აღნიშნა რომ მხარს უჭერს რეორგანიზაციის პროცესს.

საკრებულოს წევრმა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ბ. ქათამაძემ განაცხადა, რომ ყოფილი მერიც ასე იქცეოდა, პირადი შურისძიების მიზნით ათავისუფლებდა მოსამსახურეებს, მოუწოდა საკრებულოს წევრებს მხარი არ დაეჭირათ ამ დადგენილებისათვის.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ რეფორმა და რეორგანიზაცია ყოველთვის მტკივნეულია, მაგრამ აუცილებელია განვითარებისათვის, ცხადია მას მოჰყვება თანამშრომელთა გათავისუფლებაც, აღნიშნა, რომ ახალი სტრუტურა უაღრესად მორგებულია მერიის, როგორც მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობაზე, ხაზი გაუსვა იმ სტრუქტურულ ცვლილებებს, რომლებიც უფრო ქმედითს და საქმიანს გახდის ამ ორგანოს მუშაობას, რეორგანიზაციის პროცესი მიმდინარეობს კანონმდებლობის სრული დაცვით და ოპონენტების შენიშვნები მიუღებელია.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ მ.ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ ფრაქციამ განიხილა რეფორმა-რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ყველა დადგენილების პროექტი და მხარს უჭერს მას, რეორგანიზაცია არ ხორციელდება პოლიტიკური ნიშნით ადამიანების გასათავისუფლებლად, იგი მიმართულია მერიის მუშაობის დახვეწა-გაუმჯობესებისაკენ, რასაც არ ითვალისწინებს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

მერიის თანამშრომელმა ნ. კვაჭანტირაძემ განაცხადა, რომ ცუდია ადამიანების ისე გაშვება სამსახურიდან, რომ არ განემარტოთ რისთვის და რა ნიშნებით ხდება მათი გათავისუფლება.

28.13. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხრდაჭერის პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 38-ხმით

თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების კორექტირებული ვარიანტი.

საკრებულოს წევრმა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ბ. ქათამაძემ კორექტირებულ პროექტზე დასვა შეკითხვა, მიიღო შესაბამისი განმარტება.

საკრებულოს წევრმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გ. შარაშენიძემ ისაუბრა ბახვის ადმინისტრაციულ ერთეულში გამოყოფილ თანხაზე, რომელიც ინფლაციის პირობებში არასკმარისია. თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ ადმინისტრაციულ ერთეულებზე თანხის გამოყოფა ხდება შესაბამისი ფორმულით, საპროექტო წინადადებების შერჩევის პროცესში ყველას შეეძლო კრებაზე დასწრება და წინადადების დაყენება.

სხდომის დასასრულს, საკრებულოს წევრმა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ბ. ქათამაძემ მოითხოვა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის-მ. ჩხიკვიშვილის მიერ საკრებულოს წინა სხდომაზე, რომელსაც თავად არ ესწრებოდა, გაკეთებული განცხადების - პარტია „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ უნდა აგოს პასუხი წინა მერის დანაშაულებრივ საქმიანობაზე- განმარტება.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი